ECOMODE პროექტი

შეხვედრა ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე

5 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ERASMUS+ პროგრამის ECOMODE პროექტის ფარგლებში.

პროექტის წარმომადგენლები, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფ. ნინო ფაილოძე და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ნინო ჩაჩავა შეხვდნენ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის იმ პროფესორ - მასწავლებლებს, რომლებიც ტურიზმის მიმართულებით არიან სასწავლო პროცესში ჩართულნი.

ნინო ფაილოძემ და ნინო ჩაჩავამ დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინეს პროექტი "ECOMODE - ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის განვითარების ხელშეწყობა სტუმარმასპინძლობაში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის" (Fostering Eco – Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry), მისი მიზნები, ამოცანები და ყველა ის აქტივობა, რომელიც სამუშაო პროცესში არის გათვალისწინებული.



საგულისხმოა აუდიტორიის დიდი დაინტერესება პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. შეხავედრის მსვლელობისას გაიმართა აქტიური პოლემიკა პროექტის საკვლევ ობიექტებთან დაკავშირებით, დაისვა არაერთი შეკითხვა, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება პროექტის საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით, იყო სხვადასხვა წინადადება პროექტში დასმულ ამოცანებს, გადასაწყვეტ პრობლემებსა და მისაღებ შედეგებთან დაკავშირებით.

აღნიშნული კომენტარები და შემოთავაზებები ყურადღებით იქნა მოსმენილი, გაზიარებული და ჩანიშნული პროექტის მონაწილეების მიერ.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა პერიოდული შეხვედრები პროექტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით და უფრო აქტიური ჩართულობა პროექტის პროდუქტის მომზადების პროცესში. პროექტის მონაწილეებმა გამოთქვეს მზადყოფნა თანამშრომლობისათვის და დაგეგმეს მომავალი შეხვედრები ცალკეულ ექსპერტებსა და გაერთანებულ აუდიტორიასთან.